დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის
2020 წლის 19 ოქტომბრის N 77 „ო“ ბრძანებით

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შტანის პროცედურებს. დოკუმენტი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათლისწესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილების „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N 59/ნ ბრძანებისა და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 2. პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (დამსაქმებელი, კოლეჯი, სახელმწიფო უწყება და სხვა);
2. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება მისი მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნადობის გათვალისწინებით, შესაბამისი კვლევის ან დამსაქმებლის მომართვიანობის საფუძველზე;
3. „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება, სამუშაო ჯგუფის მიერ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის ხელმძღვანელობით“.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N 87 „ო“ ბრძანებით.

4. სამუშაო ჯგუფის წევრები შესაძლოა იყვნენ: პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სხვა დაინტერესებული პირები;
5. „შემუშავებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ვერიფიკაცია ხდება ალტერნატიული სამუშაო ჯგუფის მიერ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის ხელმძღვანელობით“.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N 87 „ო“ ბრძანებით.

6. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, თან უნდა ახლდეს დსაბუთება პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროების შესახებ;
7. თუ პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამას თან უნდა ახლდეს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ;
8. „შემუშავებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის ვიზირების საფუძველზე“.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N 87 „ო“ ბრძანებით.

მუხლი 3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების წესი

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მატრის N 59/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად;
2. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, სწავლის შედეგების მიღწევისათის მსმენელის სასწავლო დატვირთვა ლოგიკურად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური შედეგებისათვის გათვალისწინებულ დატვირთვას, რაც არ გამორიცხავს მცირედ ცვლილებებს;
3. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, დაწესებულება ვალდებულია პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს შესაბამის მოდულზე დაშვების წინაპირობები;

მუხლი 4. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
2. თუ პროფესიული გადამზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, კოლეჯი ვალდებულია ახალი მიღების გამოცხადებამდე განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს ამის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
3. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება ახალი მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, პროგრამაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე ცენტრს;
4. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით;
5. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.